# ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა
და
მოკავშირეთა ევროპული ძალების უმაღლეს შტაბს შორის

სამხედრო საჰაერო ძალების სარდლობის ცენტრალური საკომანდო ცენტრი (CCC), თბილისი საქართველო და კონტროლისა და რეპორტების ცენტრი (CRC) ერგრუმს (თურქეთი) შორის საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის შესახებ"

## პრეამბულა

საქართველო, წარმოდგენილი თავდაცვის სამინისტროს სახით და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა, წარმოდგენილი გენერალური შტაბის მიერ და მოკავშირეთა ევროპული ძალების უმაღლესი შტაბი (SHAPE) (შემდგომში – „მხარეებად" წოდებულნი):

აღნიშნავენ, რა რომ SHAPE წარმოადგენს ASDE პროგრამის ოპერატიულ სპონსორს;

აღნიშნავენ, რა რომ SHAPE პასუხისმგებელია ამ მემორანდუმის უმრუნველყოფაზე პარტნიორ ქვეყნებსა (PN) და ნატო-ს შორის;

აღნიშნავენ, რა რომ ASDE-ის აღჭურვილობა განთავსდება მართვისა და მეხსიერების ცენტრში (CRC) (ერგრუმი, თურქეთი);

აღნიშნავენ, რა რომ ნატო-ს მიერ მიწოდებული ყველა აღჭურვილობა დარჩება ნატო-ს საკუთრებად;

აღნიშნავენ, რა რომ PN-ის მიერ მიწოდებული ყველა აღჭურვილობა დარჩება PN-ის საკუთრებად;

აღნიშნავენ, რა რომ ASDE-ის ყველა მონაცემის გაცვლა დაცული იქნება საერთაშორისო შეთანხმებებისა და შიდასახელწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით;

ითვალისწინებენ რა MCM-140-00-ის დებულებებს, დათარიღებულს 2000 წლის 13 სექტემბრით;

ითვალისწინებენ რა SHAPE-ის „პარტნიორ ქვეყნებთან ASDE საიმპლემენტაციო კონცეფციის" მე-2 ვერსიას,

**შეთანხმდნენ შემდეგზე:**

## მუხლი 1.

## განსაზღვრებები

ამ მემორანდუმისა და მისი დამხმარე დოკუმენტების მიზნებისათვის შემდეგი განსაზღვრებები გამოიყენება:

1.1. **საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლა (ASDE)** – საჰაერო მოძრაობის მარმრუტების შესახებ არაკლასიფიცირებულ მონაცემთა გაცვლა კავშირი 1 ბუფერის, კავშირი 1 წინა ფილტრისა და CRCერგრუმსა და *CCC თბილისს შორის* არაკლასიფიცირებული ორპუნქტოვანი სატელეკომუნიკაციო არხების მეშვეობით, MCM-140-00-ის საფუძველზე და დამატებითი ტექნიკური შეთანხმებების შესაბამისად.

1.2. **ნატო-ს საერთო დაფინანსება** – ნატო-ს წევრი ქვეყნების მიერ კოლექტიურად გამოყოფილი, ნატო-ს საფინანსო კომიტეტების ნებართვის შედეგად ხელმისაწვდომი თანხა იმ საერთო ხარჯებისათვის, რომელსაც გამოიწვევს ASDE სისტემის მონტაჟი და ფუნქციონირება.

1.3. **საბიარო ხარჯი** – ხარჯი, რომელიც შეთანხმებულია მხარეთა შორის და ერთზე მეტი მხარის პასუხისმგებლობაა. ეს ხარჯი მხარეთა შორის თანაბრად ნაწილდეა.

1.4. **კავშირი 1 წინა ფილტრი (L1FF)** – მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველმყოფი კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა.

1.5. **კავშირი 1 ბუფერი** – მონაცემთა უსაფრთხოების გამაუმჯობესებელი კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა.

1.6. **ASDE მოდემი** – მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ნატო-ს ASDE საიტსა და PN ASDE საიტს შორის არაკლასიფიცირებული მონაცემები იცვლება.

1.7. **ASDE ოპერაცია** – მხარეთა შორის საპაერო მოძრაობის მარმრუტების მონაცემთა ციფრულ მონაცემობრივი გაცვლა სპეციალურად განსაზღვრულ არელში, კავშირი 1 ოქმის საშუალებით.

1.8. **ნატო-ს წევრი ქვეყანა** – ნატო-ს წევრი ქვეყანა, რომელიც ფლობს და ოპერირებს იმ ობიექტზე, რომელზედაც ASDE სისტემაა დამონტაჟებული.

1.9. **ნატო-ს ASDE ობიექტი**– ნატო-ს მდებარეობა, სადაც განთავსებულია ASDE აღჭურვილობა (L1FF და ბუფერი).

1.10. **PN ASDE ობიექტი** – ობიექტი PN-ში, რომელთანაც ნატო-ს ASDE საიტია დაკავშირებული.

## მუხლი 2.

## მიზანი

2.1. ამ მემორანდუმის მიზანია, განსაზღვროს CRC ერმრუმსა და *CCC თბილისს* შორის ASDE კავშირის დამყარებისა და ფუნქციონირების პოლიტიკა და პროცედურები.

## მუხლი 3.

## ფარგლები და ზოგადი შეთანხმებები

3.1. ეს მემორანდუმი უზრუნველყოფს შეთანხმებასა და სტრუქტურას ASDE-სათვის CRC ერმრუმსა და *CCC თბილისს* შორის.

3.2. ამ მემორანდუმის დებულებები გამოიყენება მშვიდობის, წერთნებისა და კრიზისული მდგომარეობის ოპერაციების დროს მხარეთა ჩართვასთან დაკავშირებით.

3.3. ASDE-ის ოპერაციები შეიძლება წარიმართოს MSM 140-00-ის მიხედვით, როგორც ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლთან ამასთან, PN-მა შეიძლება არჩიოს ASDE ოპერაციების შეწყვეტა.

3.4. მხარეებს შეუძლიათ დანიშნონ წარმომადგენლები, რათა მოილაპარაკონ იმ დამატებით დოკუმენტებზე, რომელებიც ხელს შეუწყობენ, შეცვლიან ან შეავსებენ ამ მემორანდუმს.

## მუხლი 4.

## განსახილველი დოკუმენტები

ამ მემორანდუმთან დაკავშირებული დოკუმენტები მოცემულია დანართ ა-ში.

## მუხლი 5.

## პასუხისმგებლობები

ამ მემორანდუმის დებულებების ფარგლებში:

5.1. SHAPE-ი:

ა) არის ოპერატიული სპონსორი და პროგრამის საერთო მენეჯერი;

ბ) პასუხისმგებელია ქვემდებარე ბრძანებებსა და ნატო-ს პროგრამული ცენტრისათვის (NPC), რათა უზრუნველყოს ASDE სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOP), რომლებიც უზრუნველყოფენ სათანადო დოკუმენტაციის შესაბამის უნაკლო ASDE ოპერაციებს;

გ) მოახდენს CRC ერზრუმსა და *CCC თბილისს* შორის შეთანხმების კორდინაციას შესაბამის საკელეკომუნიკაციო არხზე. დეტალური მოთხოვნები მოცემული იქნება ცალკეულ ტექნიკურ შეთანხმებაში.

5.2. თურქეთი:

ა) ამ ურთიერთგაგების მემორანდუმში ჩამოყალიბებული ASDE-ს იმპლემენტაციისათვის კომპეტენტურ ორგანოდ განსაზღვრავს თურქეთის საჰაერო ძალებს;

ბ) უზრუნველყოფს, რომ ASDE ოპერაციები წარიმართოს CRC ერზრუმიდან *CCC თბილისში*, და ამ ობიექტზე დაუშვებს მოწყობილობის მემონტაჟე ან/და მომსახურე პერსონალს;

გ) უზრუნველყოფს ASDE მოძრაობის მარშრუტების ყველა გაცელილი ინფორმაციის დაცულობას ნატო-სა და შესაბამისი მიდა ნორმების, პუბლიკაციებისა და პროცედურების მიხედვით;

დ) საქართველოსთან კოორდნაციით, პასუხისმგებელია თურქეთში იმ შესაბამისი საკელეკომუნიკაციო არხების კოორდინაციასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, რომელიც გამოყენებული იქნება CRC ერზრუმსა და *CCC თბილისს* შორის მონაცემთა და ხმოვანი კავშირისათვის;

ე) უზრუნველყოფს, რომ პერსონალი, რომელსაც ASDE-ზე პასუხისმგებლობა დაეკისრება, გაწვრთნილია და იყენებს ყველა შესაბამის წესსა და ვებულებას, რათა სისტემამ ეფექტიანად და სწორად იმუშაოს;

ვ) უზრუნველყოფს, რომ ობიექტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ასპექტები CRC ერზრუმისათვის მზადაა და ასახავენ იმ დოკუმენტაციას, რომელიც საჭიროა ASDE ობიექტებთან დაკავშირებით ნატო-ს უსაფრთხოების აკრედიტაციისათვის.

5.3. საქართველო:

ა) უზრუნველყოფს, რომ შესაძლებელი იყოს ASDE ოპერაციების წარმოება *CCC თბილისიდ*ან, და ამ ობიექტზე დაუშვებს ASDE მოწყობილობის მემონტაჟე ან/და მომსახურე პერსონალს;

ბ) *CCC თბილისს* მიაწვდის/შეუსყიდის ASDE მონაცემების ჩვენებისა და გადაცემისათვის საჭირო მოწყობილობებს;

გ) თურქეთთან კოორდნაციით, პასუხისმგებელია საქართველოში იმ შესაბამისი საკელეკომუნიკაციო არხების მიწოდების/შესყიდვის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, რომელიც გამოყენებული იქნება CRC ერზრუმსა და *CCC თბილისს* შორის მონაცემთა და ხმოვანი კავშირისათვის;

დ) უზრუნველყოფს, რომ ASDE ინფორმაციის უსაფრთხოების ყველა ზომა დაცული იყოს ამ დოკუმენტის, შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების, მიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 6

## ფინანსური დებულებები

6.1. ნატო შეისყიდის CRC ერზრუმში განთავსებული ASDE-ის ფუნქციონირებისათვის საჭირო ASDE სისტემის შესაგების ყველა კომპიუტერული ტექნიკასა და პროგრამულ უზრუნველყოფას და დაფარავს ASDE კომპონენტების მონტაჟისა და ტესტირების ხარჯებს ორივე ობიექტზე.

6.2. SHAPE დააფინანსებს ობიექტების პირველად შემოწმებებს CRC ერგრუმსა და *CCC თბილისში.*

6.3. PN-სათვის ტექნიკური მხარდაჭერა, რათა ეროვნული სისტემა, რომელსაც ASDE მიუერთდება, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს საიტის პირველადი შემოწმებისას.

6.4. ნებისმიერი დამატებითი სამგზაერო მოთხოვნები, რომელსაც მხარდაჭერისა და დახმარებისათვის PN მოითხოვს, უნდა დაფინანსდეს PN-ის მიერ.

6.5. CRC ერგრუმსა ან საქართველოში განთავსებული ASDE-ის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დანაკლისი ტექნიკური საჭიროებისათვის გაღებული ყველა დამატებითი ხარჯი იმ მხარის მიერ უნდა ანაზღაურდეს, რომელიც პასუხისმგებელია ამ დანაკლისზე.

6.6. ASDE-ის საფილტრო სისტემისა და საკომუნიკაციო არხების ფუნქციონირებისა და მომსახურების მაგ: ფილტრის დანადგარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის საეალდებულო განახლების, სერტიფიცირებული საოპერაციო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზირების ან საწყისი მონტაჟის შემდგომ საჭირო მგზაერობის) ნებისმიერი თანმდევი ხარჯი უნდა შეთანხმდეს როგორც ცალმხრივად დასაფარი ან საზიარო ხარჯი.

**მუხლი 7.**

**უსაფრთხოება**

7.1. ყველა გაცვლილი ASDE ინფორმაცია კლასიფიცირდება როგორც ნატო-ს არაკლასიფიცირებული ინფორმაცია. ამის მიუხედავად, მხარეები უზრუნველყოფენ ყველა გაცვლილი ინფორმაციის უსაფრთხოებას.

7.2. დაუშვებელია ASDE-ს საჰაერო მოძრაობის მარშრუტების ინფორმაციის გაცემა მესამე ქვეყნისათვის.

7.3. რომელიმე მხარის მიერ ამ მემორანდუმიდან გასვლის ან ამ მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში ამ მუხლის დებულებებს ექვემდებარება [illegible] საიდუმლო ინფორმაციისა [illegible] დაცვა გაგრძელდება.

7.4. საქართველო ცნობს *CCC თბილისს*ში SHAPE-ის ინიციატივით დანიშნულ, ტექნიკური ექსპერტების მიერ განხორციელებულ იმ სისტემების ნებისმიერ შემოწმებას, რომლებიც CRC ერგრუმს უკავშირდება. შემოწმებები დროულად უნდა გამოცხადდეს და მოხდეს მხარეთა შორის კოორდინაცია .

7.5. დაცულობისათვის საფრთხის შემქმნელი სიტუაციის, საგანგებო მდგომარეობის ან უსაფრთხოების მიზეზებით ნატო-ს შეუძლია შეცვალოს ASDE ოპერაციების მეთოდები, ისე როგორც ეს აღნიშნულია დაკავშირებულ დოკუმენტ „C"-ში. საქართველოსა და ნატო-ს უფლება აქვთ შეწყვიტონ ASDE ოპერაციები, რაზედაც სხვა მხარეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

7.6. უსაფრთხოების/საგანგებო მდგომარეობის მიზეზებით და სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში კოორდინაციისათვის, CRC ერგრუმმა და *CCC თბილისმ*ა უნდა აწარმოონ 24/7 („დღე-ღამეში 24 საათი / კვირაში 7 დღე") საკომუნიკაციო შესაძლებლობა ASDE ოპერაციების განმაელობაში. დროებითი შეერთებულობის შემთხვევაში კომუნიკაციები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ASDE ოპერაციების დროს.

**მუხლი 8.**

**ძალაში შესელა, ხანგრძლივობა და შეწყვეტა**

8.1. ეს მემორანდუმი ძალაში შევა მხარეთა მიერ ყველა შესაბამისი პროცედურის დასრულების შესახებ ნოტების გაცვლის დღიდან და ძალაში დარჩება მანამ, სანამ მას შეწყვეტს რომელიმე მხარე ყველა სხვა მხარისათვის ექვსი თვით ადრე წერილობითი შეტყობინებით.

8.2. ამ მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში ნატო-ს მიერ შესყიდული და წარმოებული კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა ნატო-ს საკუთრებაში რჩება. PN-ის მიერ შეძენილი ყველა კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა PN-ის

საკუთრებაში რჩება. ამ მემორანდუმის [illegible] წარმოშობს რაიმე თანმდევ ფინანსურ ვალდებულებას.

**მუხლი 9.**

**ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

9.1. ამ მემორანდუმში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა შეიძლება ყველა მხარის წერილობითი შეთანხმებით. ცვლილებები და დამატებები ძალაში შევა ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის 8.1 პუნქტის შესაბამისად.

**მუხლი 10.**

**დავების მოგვარება**

9.2. ამ მემორანდუმის განმარტებისა ან გამოყენების დროს წარმოშობილი უთანხმოება გადაწყდება მხარეებს შორის შესაბამის დონეზე მოლაპარაკებებით.

**მუხლი 11.**

**საკონტაქტო პირები**

10.1. ყველა მხარე განსაზღვრავს სპეციალურ საკონტაქტო პირებს, რომლებიც ნახსენები იქნებიან ამ მემორანდუმის დამატებით ტექნიკურ შეთანხმებაში. საკონტაქტო პირების ჩამონათვალი შეიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): საცხოვრებელ ადგილს, სახელს, რანგს, თანამდებობას, ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტისა და საფოსტო მისამართებს.

**მუხლი 12.**

**ტექსტი და ხელმოწერა**

12.1 ზემოაღნიშნული თანხმობა მიღწეულია საქართველოს, თურქეთის რესპუბლიკასა და მოკავშირეთა ევროპული ძალების უმაღლესი შტაბს შორის შემოაღნიშნულ [illegible]ებზე. ეს ურთიერთგაგების მემორანდუმი შედგება 9 ცალეგზისაგან და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად ინგლისურ ენაზე.

**ხელმოწერილია:**

**საქართველოს სახელით, წარმოდგენილი თავდაცვის სამინისტროს მიერ**

_____

სახელი
თანამდებობა/წოდება

თარიღი: _____

**თურქეთის რესპუბლიკის სახელით, წარმოდგენილი თურქეთის გენერალური შტაბის მიერ**

_____

სახელი
თანამდებობა/წოდება

თარიღი: _____

**მოკავშირეთა ევროპული ძალების უმაღლესი შტაბის სახელით**

_____

სახელი
თანამდებობა/წოდება

თარიღი: _____

**დაკავშირებული დოკუმენტები**

A. MCM 140-00, დათარიღებული 2000 წლის 13 სექტემბერს.
B. C-M(2003)0016, ASDE საქართველოსთან (დამტკიცების წერილი), დათარიღებული 2003 წლის 12 მარტს.
C. SHAPE-ის ASDE საიმპლემენტაციო კონცეფციის მე-2 ვერსია.
D. STANAG 5501, მე-4 გამოცემა.

# MEMORANDUM OF UNDERSTANDING (MOU) BETWEEN

**GEORGIA**

AND

**THE GOVERNMENT of the REPUBLIC of TURKEY**

AND

**SUPREME HEADQUARTERS ALLIED POWERS EUROPE**

REGARDING THE

# AIR SITUATION DATA EXCHANGE (ASDE)

# BETWEEN

# AIRFORCE COMMAND AND CONTROL CENTER (CCC) TBILISI, GEORGIA

# AND

# CONTROL AND REPORTING CENTER (CRC) ERZURUM, TURKEY